

გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების და ექსპერტთა მიმართვა საზოგადოებას და ხელისუფლებას

თბილისის მერიამ ცოფთან ბრძოლის ორთვიური დაიწყო. რას ნიშნავს ეს აქცია, საქმეში ჩახედულ საზოგადოებას კარგად მოეხსენება: ცოფთან ბრძოლა თბილისში მხოლოდ და მხოლოდ ძაღლების განადგურებასთან ასოცირდება და ამ საქმეში სრულიად იგნორირებულია მთავარი მომენტი, რომ „ცოფთან ბრძოლა“ ეს არის კომპლექსური პრობლემა, რომელიც ცხოველებისადმი ბარბაროსული დამოკიდებულებით და ერთჯერადი აქციებით ვერ გადაიჭრება. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, მერია ოფიციალურად არ ადასტურებს ორთვიურის დაწყებას, პრესსამსახურის განცხადებით, მსგავსი რამ არც იგეგმება. ამის მიუხედავად, აქცია დაიწყო და თბილისის ქუჩებიდან ცხოველების მასობრივი აყვანა-განადგურება ყოველდღიურად ხდება.

საქართველოში ცოფის გავრცელების მხრივ საგანგაშო სიტუაციაა შექმნილი. ასეთ ვითარებას ყოველწლიურად ათზე მეტი ადამიანის სიცოცხლე უწირება. ამ სამწუხარო მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მოწინავე ადგილს იკავებს. სამწუხაროა, რომ ამ რტულ ვითარებაში მერია მხოლოდ ცხოველების განადგურებით შემოიფარგლება და უურადღების მიღმა ტოვებს მთავარ საკითხებს.

შექმნილ ტრაგიკულ ვითარებასა და მის შედეგებზე მთელ პასუხისმგებლობას ჩვენ ვაკისრებთ საქართველოს ხელისუფლებას, ვინაიდან მის მიერ ვეტერინარიული უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სფეროებში გატარებული პოლიტიკა არ უზრუნველყოფს მოქალაქეთა სიცოცხლის სათანადო დონეზე დაცვას, უფრო მეტიც, რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს საკითხი მეორეხარისხოვანი ამოცანების რიგშია გადასული.

აღნიშნულს ადასტურებს ხელისუფლების მიერ განხორციელებული მთელი რიგი ქმედებები, რომელთა შორის რამდენიმეს გამოვყოფთ:

1. „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში 29.06.2007 წ. შეტანილი ცვლილების შედეგად, 2009 წლის 31 დეკემბრამდე შეჩერებულ იქნა ვეტერინარიული კონტროლი მთელ რიგი საქმიანობებზე, მათ შორის, ვეტერინარიული კლინიკების მუშაობაზე. ამის შედეგად, უკვე კანონმდებლობით იქნა დადგენილი, რომ ცოფზე ცხოველთა ვაქცინაციის პროცესს აღარ ესტორება სახელმწიფო კონტროლი.
2. ფაისიანი გახდა დაკბენილ მოქალაქეთა ვაქცინაცია ცოფზე, რომლის მაღალი საფასურის გამო მოქალაქეთა დიდი ნაწილი ვერ ასერხებს ჩაიტაროს ეს სასიცოცხლო მნიშვნელოვანი პროცედურა.

3. მაწანწალა ცხოველების პრობლემის მოგვარება დაევალა არაკომპეტენტურ მუნიციპალურ სტრუქტურებს. შესაბამისად, ბუნებრივია ის, რომ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებშიც, ცოფის ავადობის მხრივ, სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა. ამასთანავე, სახეზეა ცხოველთა დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა და წაშება, რომელიც არააზიარად არ ამცირებს ცოფის ავადობის ეპიდემიოლოგიურ სურათს და ამასთანავე, მძიმე გავლენას ახდენს მოზარდთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

არასამთავრობო ორგანიზაციები მოვითხოვთ:


- შეწყდეს ცხოველთა ხოცვა-ჟლეტის ბარბაროსულ-პროპაგანდისტული და ცოფის პრევენციის თვალსაზრისით ყოველდღიური არაეფექტური კამპანია („მაწანწალა ძაღლებთან ბრძოლის ორთვიური“ და სხვა);
- შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც შეიმუშავებს ცოფის პრევენციის

ეფექტურ სამოქმედო გეგმას. უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული კომისიის მუშაობაში ექსპერტთა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობა;

- ხელისუფლებამ ცოფის პრევენციის სამოქმედო გეგმის შემუშავების საფუძველზე, უზრუნველყოს მისი ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ყველა სათანადო ღონისძიების გატარება.

არ არის გამორიცხული, ორთვიურის დამთავრების შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო გაართულდეს.

რუსუდან ხუნწარია, საქველმოქმედო ცხოველთა დაცვის ფონდი „არგუსის“ პრეზიდენტი, ლაშა ჩხარტიშვილი, გარემოსა და ცხოველთა უფლებების დამცველი კავშირი „ლობოს“ თავმჯდომარე ნინო ჩხოპაძე, ექსპერტი გარემოს დაცვის საკითხებში, რუსუდან სიმონიძე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა მაია კაპანაძე, გარემოს დაცვითი ლიგა



ს.ს. „მტკვარი“ აცხადებს

ენერგეტიკა“ აცხადებს

ღია ფასთა გამოკითხვას შემდეგი სამუშაოს შესრულებაზე:

- **სარეზერვო აღმგზნები სისტემის დეფექტების გამოსწორების და გამართვის სამუშაოების შესრულებაზე.**

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ:

ტელ: 77 97 84
 ფაქსი: 77 98 19
 საკონტაქტო პირი : მარიამ კალაძე

შემოთავაზებები წარმოდგინეთ შემდეგ მისამართზე:
 შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“
 ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ №2
 ტელ: (824) 17 00 52

წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 16 თებერვალი